

საქართველოს ტავდაცვის მინისტრის
ბრძანება N MOD 2 18 0000469
2018 წლის 11 ივნისი ქ.თბილისი
აქტიური სარეზერვო სამსახურის საპილოტე პროგრამის
განხორციელების შესახებ

„სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ პირთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის N1217 განკარგულების, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 18 მაისის N47 ბრძანებით დამტკიცებული „სამხედრო სარეზერვო სამსახურის აქტიურ რეზერვში მისაღებ პირთა შერჩევის წესის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. 2018 წლის 1 აგვისტოდან, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელდეს აქტიური სარეზერვო სამსახურის საპილოტე პროგრამა (შემდგომში - საპილოტე პროგრამა) და აქტიურ სარეზერვო სამსახურში პირთა მიღება.

2. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მიღებულ იქნას 336 (სამასოცდათექვსმეტი) პირი, რომლებიც განაწილდნენ შემდეგი წესით:

ა) ტერიტორიულ რეზერვში - 328 (სამასოცდარვა) პირი, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არაუმეტეს 100 (ასი) სტუდენტი;

ბ) სპეციალისტთა რეზერვში - 8 პირი, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არაუმეტეს 4 (ოთხი) სტუდენტი.

ბრძანება N MOD 5 18 00000679 22.08.2018 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

3. აქტიურ სარეზერვო სამსახურში მიღებულ იქნან პირები 18-დან - 50-წლამდე, რომლებიც რეზერვში ირიცხებიან სამხედრო წოდებით რიგითიდან - კაპიტნის ჩათვლით ან უამისოდ და აკმაყოფილებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. ტერიტორიული რეზერვი დაკომპლექტდეს აჭარის, გურიისა და კახეთის რეგიონის შესაბამის მუნიციპალიტეტებში (თვითმმართველ ქალაქებში) რეგისტრირებულ პირთაგან თანაბარი პროპორციით.

5. სპეციალისტთა რეზერვი დაკომპლექტდეს იმ პირთაგან, რომლებსაც აქვთ „სპეციალისტთა რეზერვში მისაღები პირების სამოქალაქო სპეციალობების ნუსხით“ (დანართი N1) განსაზღვრული სპეციალობები.

6. აქტიურ სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირებს გაუფორმდეთ კონტრაქტი 5 წლის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ტერიტორიული რეზერვის მომზადება განხორციელოს - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის (შემდგომში - გენერალური შტაბი) ეროვნულმა გვარდიამ, ხოლო სპეციალისტთა რეზერვის - გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტმა და სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურომ.

8. დაევალოს გენერალურ შტაბს:

ა) საპილოტე პროგრამის ორგანიზებულად განხორციელება და მისი მიმდინარეობის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის პერიოდული მოხსენება;

- ბ) საპილოტე პროგრამის საკოორდინაციო ჯგუფის ჩამოყალიბება;
- გ) აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღებ კანდიდატთა შერჩევის კომისიების ჩამოყალიბება;
- დ) აქტიურ სარეზერვო სამსახურში ჩარიცხული პირების სამუშაო დროის ხანგრძლივობისა და პერიოდის განსაზღვრა;
- ე) აქტიური რეზერვის ქვედანაყოფების შტატების, შეიარაღებისა და ტექნიკის ტაბელების შემუშავება;
- ვ) აქტიური რეზერვის ქვედანაყოფების დაკომპლექტება;
- ზ) საპილოტე პროგრამის ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. საპილოტე პროგრამის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელობა დაევალოს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეს ბრიგადის გენერალ შალვა ჯაბახიძეს.

10. გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტს და სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს დაევალოს:

- ა) სპეციალისტთა რეზერვში მისაღები პირების შერჩევის პროცესში მონაწილეობა;
- ბ) სპეციალისტთა რეზერვში ჩარიცხული პირების მომზადების პროგრამების შემუშავება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სპეციალისტთა რეზერვის მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და მისი ლოგისტიკური უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დაევალოს სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალს, აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების სამედიცინო შემოწმება.

12. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტს აქტიურ სარეზერვო სამსახურში მისაღები პირების ფსიქოლოგიური შემოწმება.

13. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს აქტიურ სარეზერვო სამსახურში პირთა მიღებასთან დაკავშირებით 2018 წლის 1 ივლისიდან პიარკამპანიის ჩატარება.

14. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტმა წარდგენილი განაცხადების საფუძველზე, უზრუნველყოს საპილოტე პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

15. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყოს წარდგენილი განაცხადების საფუძველზე, საპილოტე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

16. საპილოტე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენა/გამოყოფა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში არსებული პროცედურების შესაბამისად.

17. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს გენერალური შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიას.

18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2018 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ლევან იზორია

სპეციალისტთა რეზერვში მისაღები პირების სამოქალაქო სპეციალობების ნუსხა

1. კომპიუტერული ინჟინერი;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი;
3. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი;
4. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი;
5. ინტერნეტტექნოლოგი;
6. ვებინტერფეისის დეველოპერი;
7. ვებპროგრამისტი;
8. პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი;
9. ინფორმაციული ტექნოლოგი;
10. ინფორმაციული სისტემები;
11. კომპიუტერული მეცნიერება;
12. პროგრამული ინჟინერია;
13. ინტერდისციპლინური ინფორმატიკა;
14. კიბერუსაფრთხოება;
15. კომპიუტერული ქსელების ადმინისტრატორი;
16. ტელეკომუნიკაცია;
17. ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები.